

დადგენილება № ცფ-1051-23
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

16 ნოემბერი, 2023 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლის 16 ნოემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი გიორგი მერკვილაძე, პირადი № 62002006678, დაბ. 1992 წლის 7 თებერვალს, მის.: გაგრის რ-ნი, სოფ. ალახაძე, ფაქტ. მის. ქ. ქუთაისი, დავით ალმაშენებლის გამზ. № 112/3, ბინა № 93, ტელ.: 599 18 01 83.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2023 წლის 7 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, გელათის ქ. № 2-ში, დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოში მდებარე ძალოვან კარადაში გიორგი მერკვილაძეს, რომელიც ამავე სადარბაზოში აწარმოებდა სარემონტო სამუშაოებს, არალეგალურად დაერთებული ჰქონდა დამაგრძელებელი სადენი და მასზე მიერთებული ელექტრობურღის მეშვეობით მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარდა ელექტროენერგიას, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. გიორგი მერკვილაძის მიმართ 09.11.2023-წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009698 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ სადენი ჩართო არალეგალურად და განმეორებას ადგილი არ ექნება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. გიორგი მერკვილაძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 07.11.2023-წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № 1568988 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათები, რომლებითაც დასტურდება გიორგი მერკვილაძის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათები), რომელთა მეშვეობით დგინდება გიორგი მერკვილაძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერგიის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვარი ვადა და 240-ე და 252-ე მუხლების პირველი ნაწილებით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც გიორგი მერკვილაძეს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები, მან მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩარბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

დავადგინე:

6. ფიზიკური პირი გიორგი მერკვილაძე, პირადი № 62002006678, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელშემწერა: 066




ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე